The Population of Akhalgori in the 1870s

ახალგორის მოსახლეობა XIX საუკუნის 70-იან წლებში

David Akhlouri

Doctor of History Associate Professor of Gori State University,
Gori, Chavchavadze st., №53, 1400, Georgia,
+995599335521, datoakhlouri@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-1068-4042

Abstract

The toponym "Akhalgori" is first attested in written sources in the late 1570s in connection with events taking place in Kartli; however, traces of settlement in the area date back to the Neolithic period.

At the turn of the sixteenth and seventeenth centuries, alongside the relocation of the residence of the Ksani Eristavs from Kvenipnevi–Largvisi to Akhalgori and the southward expansion of the Saeristavo's borders, the importance of Akhalgori as the political and administrative center of the principality significantly increased. The renowned geographer and historian Vakhushti Batonishvili referred to Akhalgori as a small town. It is also described with urban status by the French officer Charles de Graille de Foix, adjutant to the well-known General Totleben, who served in the Russian army during the Russo-Turkish War (1768–1774). The German traveler Reineggs likewise characterized Akhalgori as a small town. In a 1770 report compiled by Mouravov, the political and administrative center of the Ksani Saeristavo is identified as a daba (township).

From the fifteenth century onward, Armenians settled alongside Georgians played a significant role in the political life of Akhalgori. Based on an analysis of eighteenth- and nineteenth-century demographic registers, the study concludes that the number of inhabitants affiliated with the Armenian ethnic group considerably exceeded that of the Georgian population, suggesting a process of mass Armenization among local Georgians. The paper demonstrates how residents of Akhalgori bearing Georgian-rooted surnames were recorded as belonging to the Armenian ethnic group.

In accordance with the research topic, particular attention is devoted to the Russian cameral census of 1873. At that time, Akhalgori belonged to the Dusheti Uyezd of the Tiflis Governorate. The census data provide detailed information on the population of Akhalgori in that period, including its ethnic, religious, and social composition, as well as occupational structure.

Traditionally, the inhabitants were primarily engaged in trade and craftsmanship, and their economic activities often extended beyond the borders of the Saeristavo.

The data from the 1873 census are compared with other available demographic registers. The study concludes by examining the severe demographic situation in Akhalgori both before the August 2008 war and in its aftermath.

It should also be noted that a substantial portion of the historical sources used in this research are published here for the first time.

Key words: Ksani Valley; demographic registers; peasants; Dusheti Uyezd; trade; craftsmanship; ethnicity; cameral census; occupation.

დავით ახლოური
ისტორიის დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ქ. გორი, ჭავჭავაძისქ., №53,1400, საქართველო,
+995599335521, datoakhlouri@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-1068-4042

აბსტრაქტი

ტოპონიმი „ახალგორი" პირველად წერილობით წყაროებში XVI საუკუნის 70-ანი წლების მიწურულს ქართლში მიმდინარე ამბებთან დაკავშირებით იხსენიება, თუმცა აქ მოსახლეობის კვალს ნეოლითის ხანიდან ვხვდებით.

XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე, ქსნის ერისთავთა რეზიდენციის ქვენიფნევ-ლარგვისიდან ახალგორში გადმოტანისა და საერისთავოს საზღვრების სამხრეთით ექსპანსიის პარალელურად, ახალგორის, როგორც საერისთავოს პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრის მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება. ცნობილი გეოგრაფი და ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი ახალგორს მცირე ქალაქად მოიხსნიებდა, ქალაქის სტატუსით აგვიღწერს მას XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ფრანგი ოფიცერი შარლ დე გრაი დე ფუა, რომელიც ქართველებისთვის კარგად ცნობილი გენერალ ტოტლებენის ადიუტანტი გახლდათ და რუსეთ-ოსმალეთის ომის (1768-1774) დროს რუსეთის არმიაში მსახურობდა. ახალგორს პატარა ქალაქს უწოდებს გერმანელი მოგზაური რაინეგსიც. ქსნის საერისთავოს პოლიტიკური და ადმინისტრაციული ცენტრი დაბის სახელწოდებითაა მითითებული 1770 წელს შედგენილ მოურავოვის რაპორტში.

XV საუკუნიდან მოყოლებული ახალგორის პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებდნენ აქ ქართველების გვერდით დამკვიდრებული სომხები. ნაშრომში გაანალიზებული XVIII-XIX საუკუნეების დემოგრაფიული ნუსხების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ახალგორში სომხური ეთნოსისადმი მიკუთვნებული მოსახლეობის რაოდენობა ბევრად აღემატებოდა ქართულ მოსახლეობას, რაც ახალგორელ ქართველთა მასიურ გასომხებაზე მიგვანიშნებს. ნაჩვენებია, თუ როგორ იქნენ სომხური ეთნოსისადმი მიკუთვნებულნი ახალგორში მოსახლე ქართველები.

საკვლევი თემიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა 1873 წლის რუსულ კამერალურ აღწერას, ამ დროისთვის ახალგორი თბილისის გუბერნიის დუშეთის მაზრას მიეკუთვნებოდა. აღწერის მონაცემებიდან ცნობილი ხდება, თუ ვინ ცხოვრობდა იმ დროისთვის ახალგორში, როგორი იყო მოსახლეობის ეთნიკური, რელიგიური და სოციალური მდგომარეობა, რა საქმიანობას ეწოდნენ და ა.შ.

ტრადიციულად აქ, ძირითადად, ვაჭრობასა და ხელოსნობას მისდევდნენ, მათი მოღვაწეობის არეალი კი ხშირად ცდებოდა საერისთავოს საზღვრებს.

1873 წლის აღწერის მონაცემები შედარებულია ჩვენს ხელთ არსებულ სხვა დემოგრაფიულ ნუსხებთან. ნაშრომის ბოლოს ნაჩვენებია 2008 წლის აგვისტოს ომამდე და ომის შემდეგ ახალგორში არსებული მძიმე დემოგრაფიული ვითარება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ნაშრომში გამოყენებული ისტორიული წყაროების დიდი ნაწილი ქვეყნდება პირველად.

საკვანძო სიტყვები: ქსნის ხეობა, დემოგრაფიული ნუსხები, გლეხები, დუშეთის მაზრა, ვაჭრობა, ხელოსნობა, ეთნოსი, კამერალური აღწერა, ოკუპაცია.

შესავალი

ახალგორი მდებარეობს ალევის ქედის დასავლეთ კალთაზე, მდინარე ქსნის მარცხენა მხარეს, ზღვის დონიდან 800 მეტრზე, თბილისიდან 66 კილომეტრის დაშორებით. იგი უძველესი ქართული ქალაქი იყო, მის დაარსებას ქართლის ანუ იბერიის სამეფოს პირველი მეფის ფარნავაზის ძეს საურმაგს (234-162 წ.წ. ჩვ. წ. აღ-მდე) მიაწერენ **(ხარაძე, 1996: 171).**

არქეოლოგიური მასალა ცხადყოფს, რომ ახალგორში მოსახლეობა ნეოლითის ხანიდან თითქმის უწყვეტად სახლობდა და სხვადასხვა დროს, ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, დემოგრაფიული ვითარება მკვეთრად იცვლებოდა. განსაკუთრებით მძიმე სიტუაცია შეიქმნა თემურ-ლენგის ქსნის ხეობაში ლაშქრობის შემდეგ, როცა მისმა ლაშქარმა „შემუსრნა ყოველნი ციხენი და დააქცივნა ყოველნი საყდარნი და ეკლესიანი" **(ქრონიკები, 1897: 209).** ჩვენი აზრით, სწორედ ამ დროს უნდა მომხდარიყო ახალგორში ქართველების გვერდით სომხების დასახლება, რასაც რამდენიმე გარემოება უწყობდა ხელს, მათ შორის მოსახლეობის მკვეთრი შემცირება და ახალგორის, როგორც ქსნის ხეობის სავაჭრო ცენტრის ადგილმდებარეობა. არ არის გამორიცხული ახალგორში სომხები უშუალოდ გორიდან გადმოსახლებულიყვნენ, მათ ახალგორის, როგორც ქსნის საერისთავოს სავაჭრო, ეკონომიკური და კულტურული ცენტრის შესახებ ბევრი რამ ეცოდინებოდათ. სავარაუდოდ, მათვე უნდა დაერქმიათ ახალი საცხოვრებლისთვის ახალი გორი ანუ ახალგორი **(ახლოური, 2006: 36-37; მისივე, 2021: 5).**

ახალგორის მოსახლეობის შესახებ პირველ ვრცელ ცნობებს „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში", ვხვდებით, რომლის მიხედვით აქ 50 სახლი (კომლია) დაფიქსირებული, 67 მამრობითი სქესის მოსახლით. წყაროში ახალგორი სოფლის სახელწოდებითაა მითითებული, ეკუთვნოდა შანშე ერისთავს **(ჯიქია, შენგელია, 2009: 423-424).**

ჩვენამდე მოღწეული დემოგრაფიული მონაცემებიდან მნიშვნელოვანი წყაროა 1770 წლის 5 აპრილის ქართლ-კახეთის აღწერა: „ქ. არს მცირე ქალაქი ქსანზედ ახალგორი და ამას შინა მკვიდრობენ ქართველნი და სომეხნი, 140. ერისთვის დავითის მამულია" **(გამრეკელი, ცქიტიშვილი, 1973: 153).** აღნიშნული ნუსხის მიხედვით, ახალგორი ქართლ-კახეთის იმ დასახლებებს შორისაა, რომლებიც ქალაქის სტატუსს ატარებდნენ: თბილისი, გორი, ცხინვალი, სურამი, თელავი, სიღნაღი, ანანური...

რამდენად ზუსტია 1770 წლის დემოგრაფიული მონაცემები, რთული სათქმელია, რადგან ქსნის საერისთავოს 1774 წლის სტატისტიკური აღწერილობით ახალგორის მცხოვრებთა რაოდენობა 88 კომლია, ამას ემატება 17 ოჯახი მემკვიდრის ობლების, რომლებიც ცალკე კომლებად არ აღირიცხებიან, ჯამში ვიღებთ 105 ოჯახს **(ჯავახიშვილი, 1967: 201-204; თაყაიშვილი, 2020: 706-710).**

1774 წლის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტის, ერეკლე მეორის მიერ შედგენილი მორიგე ჯარის განჩინებით, ახალგორიდან სალაშქროდ 17 მებრძოლი უნდა გამოსულიყო **(კლიმიაშვილი, 2022: 214-215).**

1783 წლის აღწერით კი ახალგორში 86 კომლია, 4 ოჯახი მემკვიდრის ობლების, ჯამში 90 ოჯახი. მკვიდრი მოსახლეობა 72 კომლია, 104-მამაკაცი, მემკვიდრის ობლის მამრობითი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა 5-ია, ხიზანთა კომლობრივი რიცხვი 14-ს უდრის, მამაკაცთა რაოდენობა -15-ია, ხიზანის ობლები 2 მამრობითი სქესის წარმომადგენელია. 1774 წელთან შედარებით ახალგორში მცხოვრებ მამაკაცთა საერთო რიცხვი 159-დან 124-მდეა შემცირებული. ასევე, 1783 წლის აღწერაში, ბოგანო და ხიზანი მოსახლეობის ჯამი 35 მოსახლით ნაკლებია, თუმცა 16 მოსახლითაა გაზრდილი მკვიდრთა რაოდენობა სწორედ ბოგანოებისა და ხიზნების ხარჯზე. უფრო მეტიც, 80-იანი წლების ახალგორში საერთოდ აღარ ჩანს გლეხთა კატეგორია - „ბოგანო" **(ჯავახიშვილი, 1967: 221-223; თაყაიშვილი, 2020: 669-673).**

ასევე საყურადღებოა ქსნის საერისთავოს მესამე სტატისტიკური აღწერის მონაცემები, რომელიც რამდენადმე განსხვავდება მეორე აღწერისაგან. მაგალითად, მესამე აღწერაში ხიზანთა კატეგორია აღარაა მითითებული. მეორე აღწერაში ნახსენებ ავეტიქა ბუდიაშვილს მესამეში ვეღარ ვხვდებით, სამაგიეროდ, მესამე აღწერაში ჩნდება ახალი კომლები, რევაზ და შალვა რატიშვილების ყმები:

რევაზ რატის შვილის ყმა უმარილოს შვილის არუთინას ობოლი, ა, არუთინი

ხოცუას შვილი კომლი შალვა რატის შვილის ა, თავი ბ, გრიქოლა, მამულა **(ჯავახიშვილი, 1967: 243-245)...**

XVIII საუკუნის სტატისტიკური აღწერილობებით რთულია განსაზღვრა, რამდენი კომლია ქართველი და რამდენი სომეხი, მაგრამ ხშირია შემთხვევა, როცა ქართველი შვილს როგორც ქართულ, ისე სომხურ სახელს არქმევს, აღწერებში ვხვდებით ასეთ პიროვნებებს: მეარაყისშვილი არუთინა, პაპა, გიორგი და აკოფა, კაკასშვილი ოჰანეზა, აკოფა, პაპა... ქართველი ბავშვებისთვის სომხური სახელების დარქმევა იმითაც იყო გამოწვეული იყო, რომ სომხების მიერ აღდგენილ ქართულ ეკლესიაში მოღვაწე სომეხი მღვდელი ახლადმონათლულ ქართველებს სომხურ სახელებს არქმევდა **(ოვაშელი, 1983: 4).** შემდგომში მამიშვილობა საფუძველი ხდებოდა ახალი გვარის, მაგალითად: არუთინაშვილი, ოჰანეზაშვილი, აკოფაშვილი... ქართველები სომხურფუძიანი გვარების მატარებელნი ხდებოდნენ, რაც ხელს უწყობდა მათ გასომხებას **(ახლოური, 2021: 110-111).**

1804 წლის კამერალური აღწერის მიხედვით ახალგორში კომლების რაოდენობა უკვე 93-ია, აქედან მხოლოდ სამი კომლია ქართველებად მითითებული, დანარჩენები - სომხებად.

სულ ახალგორის მოსახლეობა 518-ია, აქედან - 288 მამაკაცი, 230 - ქალი, მათ მფლობელობაშია 32 დღის სახნავი მიწა, 7 წისქვილი, 88 ბაღი, მოჰყავთ 11096 თუნგი ღვინო. გადახდილი აქვთ 257 მანეთი და 40 კაპიკი.

აქედან ეკლესიის ყმები 16 კომლია, 50 მამაკაცი, 40 ქალი, მათ მფლობელობაშია 8 დღის მიწა, 2 წისქვილი, 15 ბაღი, მოჰყავთ 2224 თუნგი ღვინო. გადასახადი არ გადაუხდიათ, მაგრამ საეკლესიო დღესასწაულზე მომსვლელ ხალხს თავისი შესაძლებლობების მიხედვით უმასპინძლდებოდნენ **(გსიემ, 1956: 20-31).**

XIX საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში, 1860 წლის კამერალური აღწერის მონაცემებით, ახალგორში უცხოვრია 107 კომლს, 311 მამაკაცი, 209 ქალი (520 სული)[1].

[1] შემაჯამებულ ცნობებში მითითებულია 102 კომლი, 276 მამაკაცი, 196 ქალი (472 სული), როგორც ჩანს, გათვალისწინებული არაა ახალგორიდან გადასახლებული კომლები და გარდაცვლილი

დომინანტი გვარები იყვნენ: ოსეფაშვილები (8 კომლი), დურგლიშვილები - 8 კომლი, მოსესაშვილები - 7 კომლი, სტეფანაშვილები - 6 კომლი, მეარაყიშვილები - 6 კომლი... ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობებიდან მოყოლებული ახალგორის მცხოვრებთა შორის ყველა ეს გვარი გვხვდება, მათ გარდა ახალგორში ოდითგან მკვიდრობდნენ: ფირყულაშვილები, გათენაშვილები, საგიაშვილები, დათინაშვილები, როსტევანაშვილები, სირუნაშვილები, ელჩუაშვილები, ოუაშვილები, ფჩილუაშვილები (ფაჩულიაშვილები), ამირუმაშვილები, გერმელიაშვილები (გრემელიშვილები), ხეჩეტურაშვილები, ფირალაშვილები, ხახიაშვილები, ჯანიაშვილები, უმარილოშვილები, შავალაშვილები (შაველაშვილები - შაულაშვილები)... შედარებით ახალი დამკვიდრებულები უნდა იყვნენ მთის სოფლებიდან ჩასული პავლიაშვილები, აშატურიდან გადასახლებული ხუბულურები და ა.შ. კვერიათიდან მიგრირებული წიპტაურები 1804 წლის პირველი რუსული კამერალური აღწერის დროსაც გვხვდებიან, ამავე აღწერაში ელჩუაშვილები ქართველებადაც არიან მითითებულნი და სომხებადაც, მაგალითად ნონია ელჩუაშვილი ქართველია, აღაბეგ და სიმონ ელჩუაშვილები - „სომხები“. 1860 წლის აღწერის დროს კი ელჩუაშვილები მხოლოდ გრიგორიანული სარწმუნოების მიმდევართა შორის გვხვდებიან **(ახლოური, 2026: 162-163).**

მეთოდები

საკითხის კვლევისას ვიყენებთ თანამედროვე ისტორიულ მეცნიერებაში აპრობირებულ მეთოდებს. ვახდენთ ახალგორის შესახებ არსებული წყაროებისა თუ სხვა ისტორიული მასალის კრიტიკულ გააზრებას, რომლის დროსაც გამოყენებულია შინაარსობრივი ანალიზისა და დაკვირვება-შედარების მეთოდები. ანალიზის მეთოდი საშუალებას გვაძლევს წარმოვაჩინოთ ახალგორში საუკუნეების მანძილზე არსებული ისტორიული და დემოგრაფიული ვითარება. დაკვირვება-შედარების მეთოდი გვეხმარება მოვახდინოთ მოსახლეობის აღწერის ნუსხების ერთმანეთთან შედარება და განვსაზღვროთ წლების მიხედვით იქ არსებული მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა. ნაშრომის შეჯამება ხდება კვლევის სისტემური ანალიზით.

შედეგები

ქსნის ხეობის სოფლების ისტორიის კვლევით რამდენიმე წელია დავინტერესდი, სამეცნიერო ხასიათის შრომათა კრებულებში გამოქვეყნდა ჩემი რამდენიმე ათეული სტატია, საკითხის კვლევას მიეძღვნა უკვე გამოცემული ქსნის ხეობის ისტორიის სამტომეული. მიუხედავად ოკუპაციის პირობებში არსებული სიძნელეებისა, ახალგორის მუნიციპალიტეტის სოფლების და უშუალოდ ქსნის საერისთავოს პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრის - ახალგორის წარსულის კვლევას მომავალშიც გავაგრძელებ. ჩემთვის, როგორც ქსნის ხეობის მკვიდრისთვის, მშობლიური და ახლობელია იქ არსებული თითოეული სოფელი, შესწავლილი მაქვს მოსახლეობის სოციალური, რელიგიური და ეთნოგრაფიული ყოფა, ეპიგრაფიკული მასალა, ციხე-კოშკები, სალოცავები, რაც გარკვეულ წილად მიადვილებს ჩვენამდე მოღწეული წყაროების გავრცობასა და ფაქტების ახლებურად წარმოჩენას.

ადამიანები. ახალგორიდან გადასახლებულან: დურგლიშვილები გრაკალში და ძალისში, ნაზუქაშვილები - ცხინვალში, მელთაურები - ტყვიავში, შაულაშვილები (შავლაშვილები) - კასპში; მოსესოვები (მოსესაშვილები) - თბილისში...

ნაშრომში გაანალიზებულია ქსნის ხეობის, კერძოდ ახალგორის შესახებ არსებული ისტორიული წყაროები, საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობები, კამერალური და საკავშირო აღწერების მონაცემები, ფოლკლორული მასალა, რომლის საფუძველზეც შესწავლილია ახალგორში საუკუნეების მანძილზე არსებული დემოგრაფიული ვითარება, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ეთნიკური შემადგენლობის ანალიზსა და ქართველთა გასომხების ფაქტებს. ნაჩვენებია მოსახლეობის მიგრაციის მარშუტები.

დისკუსია (მსჯელობა)

XIX საუკუნის 70-იანი წლების ახალგორის მოსახლეობის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს 1873 წლის კამერალური აღწერა.

ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ კამერალური აღწერები ხელისუფლების მიერ ფისკალური და სამხედრო მიზნით ჩატარებული სტატისტიკური დაკვირვება იყო, რომლის დროსაც აზუსტებდნენ დასაბეგრი და ჯარში გასაწვევი მოსახლეობის შესახებ არსებულ მონაცემებს. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, XIX საუკუნის დამდეგიდან მეფის რუსეთი შეუდგა ფისკალურ-ეკონომიკური ხასიათის ცნობების მოძიებას... აღწერებში ნაჩვენებია კომლების რაოდენობა და სულობრივი შემადგენლობა, ეროვნება, საქმიანობა, გლეხთა კატეგორიები, მებატონეებსა და ყმებს შორის არსებული სოციალური ურთიერთობები, საბატონო ან საეკლესიო სახნავი მიწების ფართობი, მარცვლეულისა და პირუტყვის რაოდენობა და ა.შ.

თითოეული აღწერა ერთმანეთისაგან განსხვავებული პრინციპებითაა შედგენილი, ჩანს, სისტემატურად მოწმდებოდა მონაცემები და ხდებოდა მათი კორექტირება. ზოგჯერ გამოტოვებული იყო კომლები, ამასთან, ერთი და იგივე ოჯახები გვხვდება სხვადასხვა სოფლებში. აღნიშნულის მიუხედავად, აღწერები შეიცავს ვრცელ და უნიკალურ მასალას XIX საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული ვითარების შესახებ **(ახლოური, 2025 ა: 4-5).**

1873 წელს ჩატარებულ აღწერის მონაცემებში გრაფების მიხედვით მითითებულია აღწერილი პირების სახელი, მამის სახელი, გვარი, ასაკი, სარწმუნოება, შთამომავლობა, საქმიანობა („რა ხელობას აწარმოებს“), ნაჩვენებია, „ხომ არ ასრულებს რომელსამე განსაკუთრებულ სამსახურს“ და ასე შემდეგ.

აღწერაში „ახალშობილად“ იხსენიებდნენ პირს, რომელიც წინა 1860 წლის აღწერის დროს დაბადებული არ იყო, გაშვებული კი წინა აღწერაში გამორჩენილს ან გამოტოვებულს ნიშნავდა. ყმა-გლეხების საკუთარი სახელები, უმეტესწილად კნინობითი ფორმითაა მითითებული **(ახლოური 2025 ბ: 167).**

ახალგორი იმ დროისთვის თბილისის გუბერნიის დუშეთის მაზრაში შედიოდა. მცხოვრებთა აღწერა სახელმწიფო მამულზე მცხოვრები სახელმწიფო გლეხებით იწყება:

„ტფილისის გუბერნიის დუშეთის უეზდის სოფელი ახალგორი

სახელმწიფო გლეხნი მცხოვრებნი სახელმწიფო მამულზედ“:

კომლი 1 (1).[2] არსენა მარქარას ძის მზარეულოვის ქვრივი კეკელა - 30 წლის. სულ ოჯახში 1 სულია.

ეროვნების გრაფაში უწერია სომეხი, სარწმუნოების გრაფაში - „არმიანო-გრიგორიანი“.

კომლი 2 (1). ზაქარია მარქარას ძე მზარეულოვი - 48 წლის. სულ ოჯახში 1 სულია.

[2] ფრჩხილებში მითითებული რიცხვი წინა 1860 წლის აღწერის დროს კომლის რიგითი ნომერი იყო.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული.[3]

კომლი 3 (1). იაგორ მარქარას ძე მზარეულოვი - 45 წლის, ამისი შვილები: ვასილი - 12 წლის, ახალშობილი, სოლომონი - 8 წლის, ახალშობილი, მიხეილი - 3 წლის, ახალშობილი, ნიკოლოზი - 1 წლის ახალშობილი. ძმისწული იაგორასი მარქარა - 19 წლის. სულ ოჯახში 13 სულია: 5 მამრობითი და 8 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფაში მითითებული ვაჭარი წაშლილია.

კომლი 4 (2). პეჰანა გოგიას ძე მეარაყიშვილი - 48 წლის, ამისი შვილები: იაგორა - 26 წლის, გიქუა - 31 წლის, სიმონა - 16 წლის, არტემა - 9 წლის, ახალშობილი. სულ ოჯახში 7 სულია: 5 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - ქართული მართლმადიდებლური. ხელობის გრაფაში მითითებული ვაჭარი წაშლილია.

კომლი 5 (2). გოგია პეპუას ძე მეარაყიშვილი - 38 წლის, ამისი შვილები: ვასილი - 10 წლის, ახალშობილი, გასპარა - 4 წლის, ახალშობილი, არშაკა - 1 წლის, ახალშობილი. სულ ოჯახში 7 სულია: 5 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფაში მითითებული ვაჭარი წაშლილია.

კომლი 6 (3). წყალობა სარქისას ძე მეარაყიშვილი - 23 წლის, ამისი ძმა გრიგოლი - 12 წლის, ახალშობილი. სულ ოჯახში 4 სულია: 2 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფაში მითითებული ვაჭარი წაშლილია.

კომლი 7 (4). როსტომ აღა ლუას ძე სტეპანაშვილი (სტეფანაშვილი) - 65 წლის, ამისი შვილი არტემი - 14 წლის. სულ ოჯახში 5 სულია: 2 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფაში მითითებულია - ბრმა და მათხოვარი.

კომლი 8 (5). არტემ ტერ თათუზას ძე სტეფანოვი - 54 წლის, ამისი ძმა აღა - 31 წლის. სულ ოჯახში 2 სულია, მამრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფაში მითითებული ვაჭარი წაშლილია.

კომლი 9 (6). მატია (მათია) ზალიკოს ძე სტეპანოვი (სტეფანოვი) - 54 წლის, ამისი შვილები: სერაფიონა - 20 წლის, სიმონა - 16 წლის, მარქარა - 4 წლის, ახალშობილი. ძმები მათიასი: ყაზარა - 49 წლის, ზაქარა - 45 წლის, სოლომანა - 35 წლის. შვილი ყაზახასი გეურქა - 4 წლის, ახალშობილი. შვილი სოლომონასი წყალობა - 1 წლის, ახალშობილი. ძმისწულები მათიასი, თომას ძენი: ზურაბა - 18 წლის, იაგორა - 17 წლის, სერგუა - 16 წლის, ბადუა - 8 წლის, ახალშობილი. სულ ოჯახში 19 სულია: 13 მამრობითი და 6 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფაში მითითებული ვაჭარი წაშლილია.

კომლი 10 (7). ტატო გიორგის ძე სტეპანოვი (სტეფანოვი) - 44 წლის. სულ ოჯახში 5 სულია: 1 მამრობითი და 4 მდედრობითი სქესის.

[3] ყველგან ვუთითებთ წყაროს მიხედვით.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფაში მითითებული ვაჭარი წაშლილია.

კომლი 11 (8). ივანე თათულას ძე სტეპანოვი (სტეფანოვი) - 31 წლის. სულ ოჯახში 3 სულია: 1 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფაში მითითებული ვაჭარი წაშლილია.

კომლი 12 (9). დავითა არუთინას ძე ტერტეროვი - 14 წლის. სულ ოჯახში 2 სულია: 1 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფაში მითითებული ვაჭარი წაშლილია.

კომლი 13 (9). გეურქა კოჯანას ძე ტერტეროვი - 18 წლის, ამისი ძმები: მარქარა - 15 წლის, სვიმონა - 12 წლის, ახალშობილი. სულ ოჯახში 4 სულია: 3 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფაში მითითებული ვაჭარი წაშლილია.

კომლი 14 (9). გიქუა გიორგის ძის ტერტეროვის ქვრივი თამარი - 40 წლის. სულ ოჯახში 2 სულია. ორივე მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფა თავისუფალია (შევსებული არ არის).

კომლი 15 (10). თათეოზა გიორგის ძე ტერტეროვი - 35 წლის, ამისი შვილი სანდრო - 2 წლის, ახალშობილი. სულ ოჯახში 3 სულია: 2 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფა თავისუფალია.

კომლი 16 (10). აღა გიორგის ძე ტერტეროვი - 29 წლის. სულ ოჯახში 1 სულია.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფა თავისუფალია.

კომლი 17 (11). ზაქარა ივანეს ძე ამირუმოვი - 20 წლის. სულ ოჯახში 3 სულია: 1 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფა თავისუფალია.

კომლი 18 (11). არტემ თათუას ძე ამირუმოვი - 43 წლის, ამისი შვილი გიორქი: 6 წლის, ახალშობილი. სულ ოჯახში 5 სულია: 2 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფაში მითითებული ვაჭარი წაშლილია.

კომლი 19 (11). მარქარა ზაქარას ძე ამირუმოვი - 45 წლის, ამისი შვილი სერგუა - 5 წლის, ახალშობილი. სულ ოჯახში 4 სულია: 2 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფაში მითითებული ვაჭარი წაშლილია.

კომლი 20 (13). ანტონა აფრიამას ძე დემუროვი - 21 წლის, ამისი ძმა ისაკა - 8 წლის, ახალშობილი. სულ ოჯახში 5 სულია: 2 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფა თავისუფალია.

კომლი 21 (14). არტემა ანტონის ძე დემუროვი - 43 წლის, ამისი ძმა მიხაკა - 26 წლის. სულ ოჯახში 4 სულია: 2 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფაში მითითებული ვაჭარი წაშლილია.

კომლი 22 (15). იაკოფ ზაქარას ძე წიპტაური - 20 წლის, ამისი ძმა გიორგი - 17 წლის. სულ ოჯახში 3 სულია: 2 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - ქართველი, სარწმუნოება - მართლმადიდებელი ქრისტიანი. ხელობის გრაფაში მითითებული ვაჭარი წაშლილია.

კომლი 23 (16). ბაბუა პეტრეს ძე წიპტაური - 23 წლის. სულ ოჯახში 3 სულია: 1 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - ქართველი, სარწმუნოება - მართლმადიდებელი ქრისტიანი. ხელობის გრაფაში მითითებული ვაჭარი წაშლილია.

კომლი 24 (17). გაბუა გოგიას ძე ბულბუთოვი - 48 წლის, ამისი შვილი სანდრო - 10 წლის, ახალშობილი. ძმა გაბოსი (გაბუასი) გიგოლა - 31 წლის. ძმისწულები გაბუასი, ზაქარას ძენი: ვანუა - 10 წლის, ახალშობილი, გოგია - 7 წლის, ახალშობილი. სულ ოჯახში 9 სულია: 5 მამრობითი და 4 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - ქართველი, სარწმუნოება - მართლმადიდებელი ქრისტიანი. ხელობის გრაფაში მითითებული ვაჭარი წაშლილია.

კომლი 25 (18). გიორგი ვასილის ძე დოლმაზაშვილი - 44 წლის, ამისი შვილი სოსიკა - 10 წლის, ახალშობილი. სულ ოჯახში 4 სულია: 2 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - ქართველი, სარწმუნოება - მართლმადიდებელი ქრისტიანი. ხელობის გრაფა თავისუფალია.

„სულ მცხოვრებნი სახელმწიფო მამულზედ 25 კომლი, 63 მამრობითი სქესის, 55 მდედრობითი სქესის“ **(სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 226, ფურც. 299-355).**[4] მცხოვრებთა უმეტესობა სომხებად არიან მითითებულნი: 21 კომლი, 53 მამაკაცი, 47 ქალი (100 სული). მათ შორის: მზარეულოვები (მზარეულიშვილები): 3 კომლი, 6 მამაკაცი, 9 ქალი (15 სული); მეარაყიშვილები: 3 კომლი, 12 მამაკაცი, 6 ქალი (18 სული); სტეფანოვები (სტეფანაშვილები): 5 კომლი, 19 მამაკაცი, 15 ქალი (34 სული); ტერტეროვები (ტერტერაშვილები): 5 კომლი, 7 მამაკაცი, 7 ქალი (14 სული); ამირუმოვები (ამირუმაშვილები): 3 კომლი, 5 მამაკაცი, 7 ქალი (12 სული); დემუროვები (დემურიშვილები): 2 კომლი, 4 მამაკაცი, 5 ქალი (9 სული). ქართველები 4 კომლი იყო, 10 მამაკაცი, 8 ქალი: წიპტაურები: 2 კომლი, 3 მამაკაცი, 2 ქალი (5 სული), ბულბუთოვები (ბულბუთაშვილები): 1 კომლი, 5 მამაკაცი, 4 ქალი (9 სული); დოლმაზაშვილები: 1 კომლი, 2 მამაკაცი, 2 ქალი (4 სული). წიპტაურები აქ სოფელ სოფელ წიპტაურთკარიდან (ადრინდელი კვერიათი) უნდა დამკვიდრებულიყვნენ. ქართველები მართლმადიდებელ ქრისტიანებად არიან აღწერილნი, სომხები - გრიგორიანელებად, თუმცა პეფანა მეარაყიშვილს, გოგია და წყალობა მეარაყიშვილებისაგან განსხვავებით სარწმუნოების გრაფაში მართლმადიდებელი ქრისტიანი უწერია. ახალგორში მცხოვრები კომლები, მთის მოსახლეობისაგან განსხვავებით, ოჯახის წევრთა სიმრავლით არ გამოირჩეოდნენ, თუ არ ჩავთვლით მატია (მათია) სტეფანაშვილის ოჯახს, სადაც 13 მამაკაცი და 6 ქალია (19 სული).

[4] შეჯამებული მონაცემები მოგვიანებით წაუშლიათ.

ერთი კომლი სახელმწიფო გლეხი ცხოვრობდა საბატონო მამულში:

კომლი 26 (1). კონა გიგოლას ძე აბულაშვილი - 48 წლის, ამისი შვილები: მიხაკა - 20 წლის, გეურქა - 18 წლის, გიგოლა - 10 წლის, ახალშობილი, თანდილა - 2 წლის, ახალშობილი. სულ ოჯახში 7 სულია: 6 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფა თავისუფალია.

კომლთა უმრავლესობა დროებით ვალდებული გლეხები იყვნენ:

„დროებით ვალდებულნი გლეხნი, მცხოვრებნი რომელ(ნ)იც ახალგორში“:

კომლი 27 (1). დარჩუა ვანუას ძე ბურდინოვი (ბურდიაშვილი) - 19 წლის. სულ ოჯახში 1 სულია, მამრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფა თავისუფალია.

კომლი 28 (2). მელქო ალექსანდრეს ძე კაკუჩაშვილი - 48 წლის, ამისი შვილები: ალექსანდრე - 16 წლის, პოღოზა - 14 წლის, მარქარა - 11 წლის, ახალშობილი, კაკულა - 9 წლის, ახალშობილი. სულ ოჯახში 8 სულია: 5 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფაში უწერია ჭონი, რაც სულხან საბას განმარტებით ნიშნავდა ბეწვის მკერავს „ბეწვისა და ქუდის მკერავი, ტყავის მკერვალი“ **(სულხან-საბა ორბელიანი, 1993: 406).**

კომლი 29 (3). როსტომ სოსიას ძე ბურდინოვი (ბურდიაშვილი) - 48 წლის, ამისი შვილი სვიმონა - 18 წლის. სულ ოჯახში 3 სულია: 2 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფა თავისუფალია.

კომლი 30 (5). აღა გიორგის ძე ამირუმაშვილი - 38 წლის, ამისი შვილი გიორგი - 1 წლის, ახალშობილი. ძმები აღასი: კოსტანა - 33 წლის, ავეტიკა - 27 წლის, ივანე - 21 წლის. შვილი კოსტანასი დავითი - 1 წლის, ახალშობილი. სულ ოჯახში 10 სულია: 6 მამრობითი და 4 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფაში ვაჭარი წაშლილია და მიწერილია მექვაბე.

კომლი 31 (6). სტეპანა (სტეფანე) გიქუას ძე ოსეფაშვილი - 8 წლის, ახალშობილი, ამისი ძმა დავითა, ახალშობილი. სულ ოჯახში 4 სულია: 2 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფა თავისუფალია.

კომლი 32 (6). ივანე გრიგოლის ძე ოსეპაშვილის ქვრივი ხანფერა - 45 წლის. სულ ოჯახში 1 სულია.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფა თავისუფალია.

კომლი 33 (7). არტემა გიორგის ძე მოსესაშვილი - 18 წლის. სულ ოჯახში 2 სულია, 1 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფაში უწერია ჭონი.

კომლი 34 (7). შაქარა ბუდახას ძე მოსესაშვილი - 43 წლის. სულ ოჯახში 2 სულია: 1 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფა თავისუფალია.

კომლი 35 (7). ოგანეზა ბუდახას ძე მოსესაშვილი - 31 წლის, ამისი შვილი სერგუა - 6 წლის, ახალშობილი. სულ ოჯახში 4 სულია: 2 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფაში უწერია ჭონი.

კომლი 36 (8). ბუდახა გასპარას ძე მოსესაშვილი - 20 წლის. სულ ოჯახში 1 სულია.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფაში უწერია ნალბანდი, იგი ნალისა და სანალე ლურსმნის მჭედელი იყო..

კომლი 37 (9). ივანე ხალათას ძე ხახინაშვილი 63 წლის, ამისი შვილი წყალობა - 6 წლის, ახალშობილი. სულ ოჯახში 5 სულია: 2 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფა თავისუფალია.

კომლი 38 (9). იაგორა დავითის ძე ხახინაშვილი - 25 წლის. სულ ოჯახში 2 სულია: 1 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფაში უწერია ჭონი.

კომლი 39 (10). კაკუა გიქუას ძე ფირყულაშვილი - 53 წლის, ამისი შვილები: გიქუა - 17 წლის, დარჩია - 6 წლის, ახალშობილი, სოლომანა - 2 წლის, ახალშობილი. ბიძაშვილი კაკუასი - სარქისა გიორგის ძე - 38 წლის. სულ ოჯახში 8 სულია: 6 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფა თავისუფალია.

კომლი 40 (11). გეურქა პეპუას ძე ჯანიაშვილი - 38 წლის, ამისი ძმები: დარჩია - 17 წლის, სერგულა - 15 წლის. სულ ოჯახში 5 სულია: 3 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფაში მითითებული მიკიტანი წაშლილია. მიკიტანი იყო ღვინის, სხვადასხვა სასმელისა და სახელდახელო კერძების სავაჭროს მფლობელი, რომელსაც სამიკიტნო ეწოდებოდა.

კომლი 41 (11). ანანია პეპუას ძე ჯანიაშვილი - 38 წლის. სულ ოჯახში 1 სულია.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფა თავისუფალია.

კომლი 42 (13). ივანე ასატურას ძე ფრიდონაშვილი - 43 წლის, ამისი ძმისწულები, გიქუას ძენი: ასატურა - 33 წლის, ალექსანდრე - 23 წლის, ყაზარა ფრიდონას ძე - 16 წლის. სულ ოჯახში 11 სულია: 4 მამრობითი და 7 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფაში უწერია დალაქი.

კომლი 43 (14). თათეოზა ივანეს ძე დურგლიშვილი - 41 წლის. სულ ოჯახში 2 სულია: 1 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფა თავისუფალია.

კომლი 44 (14). ისაკა ივანეს დურგლიშვილი - 36 წლის. სულ ოჯახში 1 სულია.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფა თავისუფალია.

კომლი 45 (15). მიხეილ ტეტიკას ძე დოლმოზაშვილი (დოლმაზაშვილი) – 28 წლის, ამისი შვილი ივანე - 4 წლის, ახალშობილი. სულ ოჯახში 3 სულია: 2 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - ქართველი, სარწმუნოება - მართლმადიდებელი ქრისტიანი. ხელობის გრაფა თავისუფალია.

კომლი 46 (16). პეტრე თატუას (თათუას) ძე მზარეულიშვილი - 73 წლის, ამისი შვილი არტემა - 28 წლის. სულ ოჯახში 3 სულია: 2 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფა თავისუფალია.

კომლი 47 (17). წყალობ(ა) გიქუას ძე მზარეულიშვილი - 43 წლის, ამისი შვილი გრიგოლი - 2 წლის, ახალშობილი. ძმა წყალობასი კიკოლა - 38 წლის. სულ ოჯახში 7 სულია: 3 მამრობითი და 4 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფაში უწერია მეყაიშე... სარაჯი, მეკეხე, მეყაიშე უნაგირისა და ცხენის საკაზმის ოსტატს ნიშნავდა, უფრო თუ დავაზუსტებთ, მეყაიშე მათრახის ოსტატი იყო.

კომლი 48 (18). ივანე გიორგის ძე პავლეშვილი (პავლიაშვილი) - 23 წლის. სულ ოჯახში 3 სულია: 1 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - ქართველი, სარწმუნოება - მართლმადიდებელი ქრისტიანი. ხელობის გრაფა თავისუფალია.

კომლი 49 (19). ზაალ შაველას ძე შაველაშვილი - 50 წლის. სულ ოჯახში 1 სულია.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფა თავისუფალია.

კომლი 50 (20). ანდრია ნინიას ძე გიგუაშვილი - 53 წლის, ამისი შვილები: პოღოსა - 25 წლის, იაგორა - 14 წლის, გასპარა - 7 წლის, ახალშობილი. სულ ოჯახში 6 სულია: 4 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფაში უწერია კალატოზი.

კომლი 51 (20). დარჩია ივანეს ძე კიკოლაშვილი - 23 წლის, ამისი შვილი ისაკა - 1 წლის, ახალშობილი. სულ ოჯახში 3 სულია: 2 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფა თავისუფალია.

კომლი 52 (21). კარამან (ყარამან) გიგოლას ძე ბოლოტაშვილი - 35 წლის. სულ ოჯახში 2 სულია: 1 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფა თავისუფალია.

კომლი 53 (23). ბიძინა ბათრაჯას ძე ხუბაშვილი[5] - 33 წლის. სულ ოჯახში 2 სულია: 1 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - ქართველი, სარწმუნოება - მართლმადიდებელი ქრისტიანი. ხელობის გრაფა თავისუფალია.

კომლი 54 (26). მიქელა ტეტუას ძე მღებროვი (მღებრიშვილი) - 43 წლის, ამისი შვილები: ზაქარა - 18 წლის, კარაპეტა - 7 წლის, ახალშობილი, არშაკა - 4 წლის, ახალშობილი, ალექსანდრე - 1 წლის, ახალშობილი. სულ ოჯახში 7 სულია: 5 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფაში უწერია ოქრომჭედელი.

კომლი 55 (26). სტეპან (სტეფანე) ივანეს ძე მღებრიშვილი - 10 წლის, ახალშობილი, ამისი ძმა დათიკა - 7 წლის, ახალშობილი. სულ ოჯახში 3 სულია: 2 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფა თავისუფალია.

კომლი 56 (26). ზურაბა ტეტუას ძე მღებრიშვილი - 33 წლის, ამისი შვილი დარჩუა - 7 წლის, ახალშობილი. სულ ოჯახში 5 სულია: 2 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფაში უწერია ოქრომჭედელი.

კომლი 57 (27). მარკოზი ხოსროს ძე ხოცუაშვილი - 30 წლის, ამისი შვილი ხოსრო - 2 წლის, ახალშობილი. სულ ოჯახში 4 სულია: 2 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - ქართველი, სარწმუნოება - მართლმადიდებელი ქრისტიანი. ხელობის გრაფაში მითითებული ვაჭარი წაშლილია.

კომლი 58 (29). ასლანა აბელას ძე დურგლიშვილი - 22 წლის. სულ ოჯახში 2 სულია: 1 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფა თავისუფალია.

კომლი 59 (30). მიხაკა გეორგის (გიორგის) ძე საგიაშვილი - 22 წლის. სულ ოჯახში 2 სულია: 1 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფა თავისუფალია.

კომლი 60 (33). არტემ გიქუას ძე უმარილოშვილი, 1 წლის, ახალშობილი. სულ ოჯახში 5 სულია: 1 მამრობითი და 4 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფა თავისუფალია.

კომლი 61 (35). მარქარა ზურაბას ძე სტეპანაშვილი (სტეფანაშვილი) - 38 წლის. სულ ოჯახში 1 სულია.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფა თავისუფალია.

კომლი 62 (36). დარჩო ყაზარას ძე მეარაყიშვილი - 26 წლის. სულ ოჯახში 2 სულია: 1 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

---

[5] ხუბაშვილები ეთნიკური ოსები იყვნენ.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფა თავისუფალია.

კომლი 63 (37). სოლომან არუთინას ძე ოსეპაშვილი (ოსეფაშვილი) - 38 წლის, ამისი შვილი არტემა - 16 წლის. სულ ოჯახში 6 სულია: 2 მამრობითი და 4 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფაში მითითებული ვაჭარი წაშლილია.

კომლი 64 (37). სტეფანა სოლომანას ძე ოსეპაშვილი (ოსეფაშვილი) - 18 წლის. სულ ოჯახში 1 სულია.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფა თავისუფალია.

კომლი 65 (38). თომა ქიტუას ძე ოუაშვილი - 73 წლის, ამისი შვილი ქიტუა - 15 წლის, ძმა თომასი სოსიკა - 43 წლის. სულ ოჯახში 4 სულია: 3 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფა თავისუფალია.

კომლი 66 (39). აზარუა თათულას ძე ჯანიაშვილი - 33 წლის, ამისი შვილები: სოლომანა - 12 წლის, ახალშობილი, თათულა - 9 წლის, ახალშობილი. სულ ოჯახში 4 სულია: 3 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფაში მითითებული ვაჭარი წაშლილია.

კომლი 67 (39). აღა თათულას ძე ჯანიაშვილი - 28 წლის. სულ ოჯახში 1 სულია.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფაში მითითებული ვაჭარი წაშლილია.

კომლი 68 (40). აღა თანდილას ძე ელჩუაშვილი - 43 წლის, ამისი შვილი თანდილა - 10 წლის, ახალშობილი. სულ ოჯახში 6 სულია: 2 მამრობითი და 4 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფაში მითითებული ვაჭარი წაშლილია.

კომლი 69 (40). სერგო თანდილას ძე ელჩუაშვილი - 33 წლის, ამისი შვილი გრიგოლა - 1 წლის, ახალშობილი, სერგოს ძმა იაგორა - 23 წლის. სულ ოჯახში 6 სულია: 3 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფა თავისუფალია.

კომლი 70 (41). მარქარა სოსიას ძე ბებერიაშვილი (ბერიაშვილი - რუსულ ტექსტში - დ.ა.) – 17 წლის, ამისი ძმა ამისი არტემა - 12 წლის, ახალშობილი. სულ ოჯახში 3 სულია: 2 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფა თავისუფალია.

კომლი 71 (42). ავეტიკა გეორგის ძე ლომუაშვილი - 58 წლის. სულ ოჯახში 6 სულია: 1 მამრობითი და 5 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფა თავისუფალია.

კომლი 72 (45). სვიმონა ნარიმანას ძე მეარაყიშვილი, 10 წლის ახალშობილი, ამისი ბიძაშვილი გიქუა პეპუას ძე - 3 წლის, ახალშობილი. სულ ოჯახში 3 სულია: 2 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფა თავისუფალია.

კომლი 73 (46). დარჩია პაჰალუას ძე გათენაშვილი - 43 წლის, ამისი შვილები: პაპა - 20 წლის, გეორგი (გიორგი) - 17 წლის, მარქარა - 10 წლის, ახალშობილი, დავითა - 7 წლის, ახალშობილი. სულ ოჯახში 8 სულია: 5 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფა თავისუფალია.

კომლი 74 (44). ივანე ყაზარას ძე მეარაყიშვილი - 42 წლის, ამისი შვილი ყაზარა - 3 წლის, ახალშობილი. ძმა ივანესი მიხაკა - 27 წლის. სულ ოჯახში 5 სულია: 3 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფაში მითითებული ვაჭარი წაშლილია.

კომლი 75 (48). სვიმონა თათუას ძე როსტევანაშვილი - 21 წლის, ამისი ძმა ივანე - 14 წლის. სულ ოჯახში 4 სულია: 2 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფა თავისუფალია.

კომლი 76 (48). ტატუა (თათუას) როსტევანაშვილის ქვრივი თაფლო – 20 წლის. სულ ოჯახში 2 სულია: ორივე მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფა თავისუფალია.

კომლი 77 (49). იაგორა ისაკას ძე როსტევანაშვილი - 19 წლის, ამისი ძმები: ზაქარა - 17 წლის, არტემა - 15 წლის. სულ ოჯახში 5 სულია: 3 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფა თავისუფალია.

კომლი 78 (49). კაკულა ისაკას ძე როსტევანასშვილი - 22 წლის. სულ ოჯახში 1 სულია.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფა თავისუფალია.

კომლი 79 (49). არშაკა თანდილას ძე როსტევანაშვილი - 5 წლის, ამისი ძმა მიხაკა - 1 წლის, ახალშობილი. სულ ოჯახში 4 სულია: 2 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფა თავისუფალია.

კომლი 80 (50). მინასა გიორგის ძე როსტევანაშვილი - 33 წლის, ამისი შვილი მატია - 2 წლის, ახალშობილი. ძმისწულები მინასასი, შაქარას ძენი: იაგორა - 17 წლის, ოვანესა - 8 წლის, ახალშობილი, შაქარა - 6 წლის ახალშობილი. სულ ოჯახში 8 სულია: 5 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფა თავისუფალია.

კომლი 81 (51). წყალობა გოგიას ძე ოუაშვილი - 21 წლის, ამისი ძმა ამისი დარჩია - 14 წლის. სულ ოჯახში 3 სულია: 2 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფა თავისუფალია.

კომლი 82 (52). გიქუა ვართანას ძე ოვუაშვილი - 31 წლის. სულ ოჯახში 1 სულია.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული.

გრაფაში - ახსნა (ჩვენება) მომატებისა უკანასკნელის აღწერის აქეთ, უწერია - ამუშავებს დუქანს ქალაქს კავკავში და მერე წაშლილია. წაშლილია ასევე ხელობის გრაფაში მითითებული მიკიტანი.

კომლი 83 (52). ზურაბა ბეჟანას ძე პირუაშვილი (ფირუაშვილი) – 68 წლის, ამისი შვილები: ბეჟუა - 28 წლის, გოგია - 15 წლის. ძმა ზურაბასი პირანა (ფირანა) - 66 წლის. შვილები ფირანასი ოგანეზა - 25 წლის, ბადუა - 22 წლის, გეურქა - 19 წლის, გასპარა - 8 წლის, ახალშობილი, მელქუა - 6 წლის ახალშობილი. სულ ოჯახში 13 სულია: 9 მამრობითი და 4 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფაში მითითებული ვაჭარი წაშლილია.

კომლი 84 (53). ისაია ზურაბას ძე გელუაშვილი - 31 წლის, ამისი შვილები: მიხაკა - 4 წლის, ახალშობილი, ალექსანდრე - 1 წლის, ახალშობილი. სულ ოჯახში 4 სულია: 3 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფაში მითითებული ვაჭარი წაშლილია.

კომლი 85 (53). ზურაბა ივანეს ძე გელუაშვილი - 14 წლის. სულ ოჯახში 3 სულია: 1 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

სარწმუნოების გრაფაში თავდაპირველად წერებულა „ქართველთა“, ეროვნების გრაფაში - ქართველი. მოგვიანებით „ქართველთა სარწმუნოების“ ნაცვლად მიუთითებიათ არმიანო-გრიგორიანული, ეროვნების გრაფაში - სომეხი. ხელობის გრაფა თავისუფალია.

კომლი 86 (54). შიო გიგოს ძე ბისოშვილი - 53 წლის ამისი შვილები: ალექსა - 10 წლის, ახალშობილი, ბაგრატი - 1 წლის ახალშობილი. სულ ოჯახში 4 სულია: 3 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - ქართველი, სარწმუნოება - მართლმადიდებელი ქრისტიანი. ხელობის გრაფა თავისუფალია.

კომლი 87 (55). გევუა ავეტიკას ძე მამასახლისისშვილი - 43 წლის. სულ ოჯახში 1 სულია.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფა თავისუფალია.

კომლი 88 (56). გეორგი გელუას ძე ხეჩატურაშვილი - 33 წლის. სულ ოჯახში 1 სულია.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფა თავისუფალია.

კომლი 89 (57). ივანე პაპას ძე ხეჩატურაშვილი - 15 წლის. სულ ოჯახში 4 სულია: 3 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფა თავისუფალია.

კომლი 90 (58). ივანე დავითას ძე ამირუმაშვილი - 43 წლის, ძმები ივანესი გიგოლა - 28 წლის, ვასილა - 21 წლის. სულ ოჯახში 5 სულია: 3 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფაში მითითებული ვაჭარი წაშლილია.

კომლი 91 (59). დარჩია არუთინას ძე საგიაშვილი - 23 წლის, ამისი შვილები: არტემა - 5 წლის, ახალშობილი, აბგარა - 3 წლის, ახალშობილი, სერგო - 1 წლის, ახალშობილი. სულ ოჯახში 6 სულია: 4 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფაში მითითებული ხარაზი წაშლილია.

კომლი 92 (60). ანტონა კონუას ძე ხეჩატურაშვილი - 26 წლის, ამისი ძმა არტემა - 21 წლის. სულ ოჯახში 3 სულია: 2 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფა თავისუფალია.

კომლი 93 (61). სვიმონა იაკობის ძე ამირუმაშვილი - 21 წლის, ამისი ძმები: გერასიმე - 16 წლის, მიხაილა - 10 წლის, ახალშობილი, ს(ე)რაფიონა - 6 წლის, ახალშობილი. სულ ოჯახში 6 სულია: 4 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფა თავისუფალია.

კომლი 94 (62). ვასილა თათუხას ძე დათიაშვილი - 21 წლის. სულ ოჯახში 1 სულია.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფა თავისუფალია.

კომლი 95 (63). გეუავა (გეუა - დ.ა.) თათუას ძე ოსეფაშვილი[6] - 43 წლის, ამისი შვილები: არტემა - 10 წლის, ახალშობილი, დავითა - 6 წლის, ახალშობილი. სულ ოჯახში 7 სულია: 3 მამრობითი და 4 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფა თავისუფალია.

კომლი 96 (63). იაგორა თათუას ძე ოსეპაშვილი - 31 წლის. სულ ოჯახში 1 სულია.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფა თავისუფალია.

კომლი 97 (63). მარქარა თათუას ძე ოსეპაშვილი - 28 წლის, ამისი შვილი მიხაკა - 3 წლის, ახალშობილი. სულ ოჯახში 3 სულია: 2 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფაში მითითებული ვაჭარი წაშლილია.

კომლი 98 (66). გიგოლა გეუას ძე ოსეპაშვილი - 17 წლის, ამისი ბიძაშვილი ისაკა სისუას ძე – 15 წლის. სულ ოჯახში 5 სულია: 2 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფა თავისუფალია.

კომლი 99 (64). არტემა როსტომას ძე მოსესაშვილი - 43 წლის, ამისი ძმები: გეურქა - 33 წლის, სარფიონა - 23 წლის. სულ ოჯახში 3 სულია, მამრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფა თავისუფალია.

---

[6] გვიანდელი ხელით მიწერილია ოსეპაშვილი.

კომლი 100 (68). მარქარა ოფანეზას (ოგანეზას) ძე დურგლიშვილი - 20 წლის. სულ ოჯახში 2 სულია: 1 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფა თავისუფალია.

კომლი 101 (68). გეურქა ისაკაძე ძე დურგლიშვილი - 8 წლის, ახალშობილი, ამისი ძმა სოლომანა - 5 წლის, ახალშობილი. სულ ოჯახში 3 სულია: 2 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფა თავისუფალია.

კომლი 102 (69). გრიგოლ მონდიმოს ძე სირუნაშვილი - 18 წლის, ამისი ძმა ს(ე)რაფიონა - 17 წლის. სულ ოჯახში 4 სულია: 2 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფა თავისუფალია.

კომლი 103 (70). ზურაბა გიქუას ძე სირუნაშვილი - 48 წლის, ამისი შვილები: სვიმონა - 10 წლის, ახალშობილი, ვანუა - 6 წლის, ახალშობილი, სერგულა - 3 წლის, ახალშობილი. სულ ოჯახში 7 სულია: 4 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფაში მითითებულია ვაჭარი.

კომლი 104 (71). დათიკა გიქუას ძე სირუნაშვილი - 38 წლის, ამისი შვილები: სანდრო - 10 წლის, ახალშობილი, იაგორა - 7 წლის, ახალშობილი. სულ ოჯახში 3 სულია.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფაში მითითებული ვაჭარი წაშლილია.

კომლი 105 (71). ბაღდასარა გიქუას ძე სირუნაშვილი - 33 წლის, ამისი შვილი გეურქა - 4 წლის, ახალშობილი. სულ ოჯახში 4 სულია: 2 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფაში უწერია ჭონი.

კომლი 106 (72). იაკოფა სიმონას ძე სირუნაშვილი - 40 წლის, ამისი ძმები: ვანო - 32 წლის, მელქო - 25 წლის. სულ ოჯახში 3 სულია.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფაში უწერია დალაქი.

კომლი 107 (73). კონა გიქუას ძე ფიჩულიაშვილი, 17 წლის. სულ ოჯახში 4 სულია: 1 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფაში მითითებული ვაჭარი წაშლილია.

კომლი 108 (73). სანდრუა კონუას ძე ფიჩულიაშვილი, 39 წლის, ამისი შვილები: სერგუა - 8 წლის, ახალშობილი, გეურქა - 6 წლის, ახალშობილი. სულ ოჯახში 6 სულია: 3 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფაში მითითებული ვაჭარი წაშლილია.

კომლი 109 (74). ბეჟანა პეპანას ძე დურგლიშვილი - 58 წლის, ამისი შვილები: სოსუა - 26 წლის, გრიგოლა - 7 წლის, ახალშობილი, სვიმონა - 1 წლის, ახალშობილი. სულ ოჯახში 6 სულია: 4 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფაში უწერია დურგალი.

კომლი 110 (75). აღა კარაპეტას ძე დურგლიშვილი - 43 წლის, ამისი ძმა პეპანა - 36 წლის. შვილები პეპანასი: კარაპეტა - 3 წლის, ახალშობილი, ვანუა - 1 წლის, ახალშობილი. სულ ოჯახში 6 სულია: 4 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფაში მითითებული ვაჭარი წაშლილია.

კომლი 111 (76). ზაქარა სოსუას (სოსიას) ძე ოსეპაშვილი - 38 წლის, ამისი შვილი გიორგი - 5 წლის, ახალშობილი. სულ ოჯახში 5 სულია: 2 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფაში მითითებული ვაჭარი წაშლილია.

კომლი 112 (76). აფრიამა სოსიას ძე ოსეფაშვილი - 36 წლის, ამისი შვილი სოსია - 2 წლის, ახალშობილი. სულ ოჯახში 4 სულია: 2 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფაში მითითებული ვაჭარი წაშლილია.

კომლი 113 (77). ესტატე გიორგის ძე ფილიაშვილი - 12 წლის, ახალშობილი, ამისი ძმა კარაპეტა - 7 წლის, ახალშობილი. სულ ოჯახში 2 სულია.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფა თავისუფალია.

კომლი 114 (78). გაბუა ტატუხას ძე გრემელაშვილი - 20 წლის. სულ ოჯახში 2 სულია: 1 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფა თავისუფალია.

კომლი 115 (79). ზურაბა დარჩიას ძე მოსესაშვილი - 28 წლის, ამისი ძმა მოსესა - 20 წლის. სულ ოჯახში 5 სულია: 2 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფაში მითითებული მეყაიშე წაშლილია და მიწერილია მეუნაგირე.

კომლი 116 (80). მარქარა ისაიას ძე მოსესაშვილი - 28 წლის. სულ ოჯახში 1 სულია.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფაში მითითებული ვაჭარი წაშლილია.

კომლი 117 (81). იაგორა მურადას ძე მოსესაშვილი - 36 წლის, ამისი ძმა ბადუა - 31 წლის. სულ ოჯახში 4 სულია: 2 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფა თავისუფალია.

კომლი 118 (82). გაბუა გიორგის ძე წიპტაური - 38 წლის. სულ ოჯახში 2 სულია: 1 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფა თავისუფალია. თუმცა წიპტაურები ქართველები იყვნენ.

კომლი 119 (83). ნანიკა ბარძიმის ძე ხუბულური - 53 წლის, ამისი ძმისწული იაგორა - 3 წლის, ახალშობილი. სულ ოჯახში 3 სულია: 2 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი[7], სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფა თავისუფალია.

კომლი 120 (-). გიორგი პაპას ძე კაკინოვი - 20 წლის, გაშვებული იყო, ამისი ძმისწული გიგოლა - 3 წლის, ახალშობილი. ბიძაშვილ(ნ)ი, გიორგის ძენი: ვანუა - 9 წლის, ახალი დაბადებული, სერგუა - 10 წლის, ახალი დაბადებული. სულ ოჯახში 6 სულია: 4 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფა თავისუფალია.

კომლი 121 (-). ბადუა შაველას ძე ოსეპაშვილი - 80 წლის, გაშვებული იყო, ამისი შვილები: დარჩია - 28 წლის, გეურქა - 26 წლის, ვანუა - 2 წლის, ახალშობილი. სულ ოჯახში 7 სულია: 4 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფაში მითითებული ვაჭანი წაშლილია.

კომლი 122 (-). გიორგი მოსესას ძე მოსესაშვილი - 60 წლის, გაშვებული იყო, ამისი ბიძაშვილი ბეჟან შიოს ძე[8] - 40 წლის. აღწერაში მითითებულია, რომ ოჯახში 2 სულია: 1 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის, ბეჟანი არ არის მითვლილი...

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფაში უწერია დალაქი.

კომლი 123 (-). წყალობა ზაალას (ზაალის) ძე ჯანიაზოვი, გაშვებული იყო. სულ ოჯახში 2 სულია: 1 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფაში მითითებული ვაჭარი წაშლილია და მიწერილია დალაქი.

კომლი 124 (-). ივანე ბერუას ძე ცაგარელი, გაშვებული იყო, ამისი შვილები: პეტრე - 12 წლის ახალშობილი, ვასილი - 4 წლის, ახალშობილი, იოსები - 1 წლის, ახალშობილი. სულ ოჯახში 6 სულია: 4 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

სარწმუნოების გრაფაში ეწერა სომხური გრიგორიანული და გადაუწერიათ - ქართველთა სარწმუნოება. ეროვნებაში სომეხს გადაწერილი აქვს ქართველი. ხელობის გრაფაში მითითებული ვაჭარი წაშლილია.

კომლი 125 (-). სანდრო არუთინას ძე ქესიჯოვი - 23 წლის, გაშვებული იყო. სულ ოჯახში 1 სულია.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული. ხელობის გრაფაში უწერია ხარაზი.

კომლი 126 (-). როსტომა მიკირტუმას ძე გურგენოვი - 58 წლის, ამისი ძმა არტემა - 34 წლის, გაშვებული იყვნენ. სულ ოჯახში 5 სულია: 2 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.

ეროვნება - სომეხი, სარწმუნოება - სომხური გრიგორიანული.

სულ დროებით ვალდებულნი გლეხნი საბატონო მამულზედ მცხოვრებნი და სახელმწიფო მამულზედ არიან 126 კომლი და სულნი, ჯერ მითითებულია 292 მამრობითი სქესის და 222 მდედრობითი, მაგრამ შემდეგ შესწორებულია და 292-ის ნაცვლად მიწერილია 296.

---

[7] ხუბულურები სომხები არ იყვნენ.

[8] მიწერილია მოგვიანებით.

აღწერას ახლავს მინაწერი: „ახალ გორში მცხოვრები და აღმორჩეული ახალგორის საზოგადოებიდგან ოთხთა პირთა შევადგინეთ კამერალნიის ახალი ახსწერა, რომელზედაც ხელს ვაწერთ ივანე ბესოს ძე ცაგარელი, ხელს ვაწერთ აღა, ელჩო და გაბო, ნიკოლოზ ხელს ვაწერ ვანია პავლოვი, ხელს ვაწერ და ვამოწმებ ნამდვილათ ხელმოწერილნი არიან. ახალგორის მამასახლისი მინას როსტევანოვი, 1873 წლის 24 მარიანობის თვესა“. დამოწმებულია ახალგორის მამასახლისის ბეჭდით **(სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 226, ფურც. 299-355).**

დროებით ვალდებული გლეხების უმეტესობაც სომხებად და გრიგორიანული სარწმუნოების მიმდევრებად არიან აღწერილნი: აბულაშვილები: 1 კომლი, 6 მამაკაცი, 1 ქალი (7 სული); ბურდინოვები (ბურდიაშვილები) - 2 კომლი, 3 მამაკაცი, 1 ქალი (4 სული); კაკუჩაშვილები - 1 კომლი, 5 მამაკაცი, 3 ქალი (8 სული); ამირუმაშვილები - 3 კომლი, 13 მამაკაცი, 8 ქალი (21 სული); ოსეპაშვილები (ოსეფაშვილები) – 11 კომლი, 21 მამაკაცი, 23 ქალი (44 სული); მოსესაშვილები - 9 კომლი, 14 მამაკაცი, 10 ქალი (24 სული); ხახინაშვილები: 2 კომლი, 3 მამაკაცი, 4 ქალი (7 სული); ფირყულაშვილები: 1 კომლი, 6 მამაკაცი, 2 ქალი (8 სული); ჯანიაშვილები: 4 კომლი, 8 მამაკაცი, 3 ქალი (11 სული); ფრიდონაშვილები - 1 კომლი, 4 მამაკაცი, 7 ქალი (11 სული); დურგლიშვილები: 7 კომლი, 14 მამაკაცი, 8 ქალი (22 სული); მზარეულიშვილი - 2 კომლი, 5 მამაკაცი, 5 ქალი (10 სული); შაველაშვილი: 1 კომლი, 1 მამაკაცი (1 სული); გიგუაშვილი: 1 კომლი, 4 მამაკაცი, 2 ქალი (6 სული); კიკოლაშვილები: 1 კომლი, 2 მამაკაცი, 1 ქალი (3 სული); ბოლოტაშვილები: 1 კომლი, 1 მამაკაცი, 1 ქალი (2 სული); მღებროვები (მღებრიშვილები): 3 კომლი, 9 მამაკაცი, 6 ქალი (15 სული); ხოცუაშვილები: 1 კომლი, 2 მამაკაცი, 2 ქალი (4 სული); საგიაშვილები: 2 კომლი, 5 მამაკაცი, 3 ქალი (8 სული); უმარილოშვილები: 1 კომლი, 1 მამაკაცი, 4 ქალი (5 სული); სტეპანაშვილი (სტეფანაშვილი): 1 კომლი, 1 მამაკაცი (1 სული); მეარაყიშვილები: 3 კომლი, 6 მამაკაცი, 4 ქალი (10 სული); ოუაშვილი (ოუვაშვილი): 3 კომლი, 6 მამაკაცი, 2 ქალი (8 სული); ელჩუაშვილები: 2 კომლი, 5 მამაკაცი, 7 ქალი (12 სული); ბებერიაშვილები (ბერიაშვილები): 1 კომლი, 2 მამაკაცი, 1 ქალი (3 სული); ლომუაშვილები: 1 კომლი, 1 მამაკაცი, 5 ქალი (6 სული); გათენაშვილები: 1 კომლი, 5 მამაკაცი, 3 ქალი (8 სული); როსტევანაშვილები: 6 კომლი, 13 მამაკაცი, 11 ქალი (24 სული); პირუაშვილები (ფირუაშვილები): 1 კომლი, 9 მამაკაცი, 4 ქალი (13 სული); გელუაშვილები: 2 კომლი, 4 მამაკაცი, 3 ქალი (7 სული); მამასახლისისშვილი: 1 კომლი, 1 მამაკაცი (1 სული); ხეჩატურაშვილები: 3 კომლი, 6 მამაკაცი, 2 ქალი (8 სული); დათიაშვილები: 1 კომლი, 1 მამაკაცი (1 სული); სირუნაშვილები: 4 კომლი, 11 მამაკაცი, 7 ქალი (18 სული); ფიჩულიაშვილები: 2 კომლი, 4 მამაკაცი, 6 ქალი (10 სული); გრემელაშვილები: 1 კომლი, 1 მამაკაცი, 1 ქალი (2 სული); კაკინოვები: 1 კომლი, 4 მამაკაცი, 2 ქალი (6 სული); ჯანიაზოვები: 1 კომლი, 1 მამაკაცი, 1 ქალი (2 სული); ქესიჯოვი: 1 კომლი, 1 მამაკაცი (1 სული); გურგენოვები (გურგენაშვილები): 1 კომლი, 2 მამაკაცი, 3 ქალი (5 სული). სომხებად და გრიგორიანული სარწმუნოების მიმდევრებად არიან მითითებულნი ქართველი წიპტაურები და ეთნიკურად ოსი ხუბულურებიც. წიპტაურები: 1 კომლი, 1 მამაკაცი, 1 ქალი (2 სული); ხუბულურები: 1 კომლი, 2 მამაკაცი, 1 ქალი (3 სული). დროებით ვალდებული გლეხებიდან ქართველებად და მართლმადიდებელ ქრისტიანებად აღწერილნი არიან: დოლმოზაშვილები (დოლმაზაშვილები): 1 კომლი, 2 მამაკაცი, 1 ქალი (3 სული); პავლეშვილები

(პავლიაშვილები): 1 კომლი, 1 მამაკაცი, 2 ქალი (3 სული); ხუბაშვილები: 1 კომლი, 1 მამაკაცი, 1 ქალი (2 სული), ბისოშვილები: 1 კომლი, 3 მამაკაცი, 1 ქალი (4 სული), ცაგარელები: 1 კომლი, 4 მამაკაცი, 2 ქალი (6 სული).

ახალგორში მცხოვრები 126 კომლიდან სომხებად მითითებულია 117 კომლი, ქართველებად - 9 კომლი, მათ შორის ეთნიკურად ქართველი წიპტაურები ქართველებადაც არიან აღწერილნი და სომხებადაც, ეთნიკურად ოსი ხუბაშვილები - ქართველებად, ხუბულურები - სომხებად.

ახალგორში, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სომხები და გასომხებული ქართველებიც, ძირითადად, ვაჭრობას ან ხელოსნობას მისდევდნენ. „ყველგან, მათ შორის საქართველოში გაბნეულ სომხურ მოსახლეობაში წამყვანი ადგილი ეკავა მის ვაჭრულ-ხელოსნურ ფენებსო" - წერდა სომეხი ისტორიკოსი ს. ერემიანი **(მაისურაძე, 1999: 143).** საქართველოში „ვაჭრის" და „სომეხის" მცნებები თითქმის სინონიმური იყო, სავაჭრო ურთიერთობაში ჩართულ ქართველს გასომხებულს უწოდებდნენ, მაგრამ ქართველთა მასიური გასომხების მნიშვნელოვანი საფუძველი იყო ის პრივილეგირებული მდგომარეობა, რომლითაც სომხები სარგებლობდნენ; ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეორე, ვაჭრობისა და ხელოსნობის დარგების განვითარებისათვის, ცდილობდა საქართველოში ჩამოესახლებინა სომხები და მათთვის სათანადო პირობები შექმნა. ეს ყოველივე ხელს უწყობდა ახალგორში არა მხოლოდ მკვიდრი მოსახლეობის, არამედ ხიზნად მოსულების „გასომხებასაც". „ერეკლე მეფემ მათ (სომხებს - დ.ა.) გადასახადები არ დაადვა. ამის გამოისობით ზოგი ქართველი სომხად მოინათლა... ახალგორში ხიზნად მოვიდა როსტომ ერისთავის ყმა უფლისციხელი მზარეულის შვილი სიმონა. ახლა მემკვიდრე კომლი გახდა და გასომხდა - ბეგარის გადახდა არ ინდომა. სომხებად მოიქცნენ ხიზანი ხელთუბნელი აკოლაანთ ბერუას შვილი გიორგი, გათენას შვილი ალექსა, მეარაყის შვილი როსტომა, ჯავახის შვილი ნარიმანა, კაკას შვილი პაპა, გორელაშვილი დავითა, სამი ძმა ბერის შვილები ოსეფა, ბერუა, შალვა, რატის შვილის ყმა ხოცუას შვილი მამულა და ბოგანი ელჩუანთ ლომუას შვილი შეუძლებელი ბეჟანა" **(ოვაშელი, 1983: 4)**

ქართველთა სომხური ეთნოსისადმი მიკუთვნების ხელშემწყობი ფაქტორი იყო სარწმუნოებისა და ეროვნების ერთმანეთთან გაიგივებაც. „სომხებთან ერთად ახალგორში მოსახლეობდნენ ისეთი გვარებიც, რომლებიც სომხური ეთნოსისადმი კონფენსიური მიკუთვნილობის გამო არიან მიწერილი. ასეთ გრიგორიან ქართველებს შორის შეიძლება დავასახელოთ: მზარეულოვი, ბურდინოვი, მეარაყოვი, კაკილოვი, კიკოლიშვილი, ხუბაშვილი (ძირითადად ოსი), ხოცეულიშვილი (ხოცუაშვილი? - დ.ა.), ბერიაშვილი, ლოსეურაშვილი, გათენაშვილი, გელიაშვილი, დათიაშვილი, გრემელაშვილი, ცაგარელი. ეთნოგრაფიული მასალებითაც ჩამოთვლილი გვარები ქართველები არიან, რომლებმაც, გარკვეული მიზეზების გამო მიიღეს სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოება და შესაბამისად მიეკუთვნენ სომხურ ეროვნებას **(თოფჩიშვილი, 1987: 159).** „XIX საუკუნეში, ცარიზმის დროს, გრიგორიანელ ქართველებს სომხური ეროვნება ოფიციალური იურიდიული დოკუმენტით დაუკანონეს... ამ გზით აღმოჩნდა გაგრიგორიანებულ-გასომხებულთა შორის ახალგორელი ხოცუაშვილებისა და სირაშვილების (შემდგომში სირუნოვების) ქართული გვარიც" **(მელიქიშვილი, თოდრია, თოფჩიშვილი, 1989: 4).** ბურდანოვებად იქცნენ ბურდიაშვილები, რომლებიც „ისტორიული საბუთების თანახმად

ჯერ კიდევ XIV საუკუნეში ცხოვრობდნენ სოფელ ლომისის ქვევით. XX საუკუნის დასაწყისში ბურდიაშვილებს ვაჭრობასთან დაკავშირებით შეუცვლიათ სარწმუნოება, მართლმადიდებლობის ნაცვლად მიუღიათ გრიგორიანული სარწმუნოება და დაწერილან სომხებად" **(ღუნაშვილი, 1985: 4).** მეარაყიშვილის გვარი მეარაგოვით შეიცვალა **(ოვაშვილი, 1984: 129).** ასევე, ცნობილია, რომ ძირად გიგაურები იყვნენ ახალგორელი გათენაშვილები **(თოფჩიშვილი, 2002: 28).** უბრალო დაკვირვებითაც ნათელია, როგორ მასიურად ხდებოდა ახალგორში ქართველთა გასომხება, როგორც XVIII საუკუნის ბოლოს, ისე მომდევნო პერიოდშიც. 1893 წლის 23 ოქტომბერს ალ. ყიფშიძე ფრონელის ფსევდონიმით წერს თბილისიდან მოსკოვში ძმას, სამხედრო სასწავლებლის კურსანტს ზაქარია ყიფშიძეს: „ახალგორში უმეტესად სომხები არიანო" **(პავლიაშვილი, 1987: 3).** თუ როგორ მასიურად შეიცვალა გვარის ქართული მაწარმოებელი „შვილი" „ოვი" - ით, ჩანს ს. მაკალათიას მონათხრობში: ახალგორში „საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სომხური მოსახლეობა ას კომლზე მეტი ყოფილა, ქართველები კი ექვსი კომლი - ცაგარელი, წიფთაური (წიპტაური - დ. ა), მეტრეველი, დუშაშვილი და ბულბუთაშვილი. სომხები: ამირუმოვი, მზარეულოვი, სტეფანოვი, მიარაგოვი, კაკინოვი, გათენოვი და სხვა, ყველაზე მეტი სტეფანოვები" **(მაკალათია, 1968: 60).** აქვე იგი საუბრობს „ახალგორელი სომხების" სალოცავებზე: „სომხებს (ახალგორში - დ.ა) ერთი ეკლესია ჰქონიათ"... „აქაური სომხები სალოცავად მიდიოდნენ ალევის სამებაში, თან მიჰქონდათ დროშა, რომელზედაც გამოსახული ყოფილა წმინდა გიორგი და ღვთისმშობელი. აქ ხატობაზე სომხები მართავდნენ საერთო ხარჯით დიდ პურობას..." **(მაკალათია, 1968: 60-61).** „ახალგორელი სომხები სალოცავად მიდიოდნენ აგრეთვე ჯვარპატიოსნის (ლეხურის ხეობაშია, სხვილოს ნასოფლარზე) დღეობაზე ურმებით, ცხენებითა და გაშლილი დროშებით" **(მაკალათია, 1968: 61, მაკალათია, 1954: 28).** რთული სათქმელია, რამდენად შესაძლებელია, რომ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიები გრიგორიანელი „სომხების" ან მათი წინაპრების სალოცავები ყოფილიყო. თუ გავითვალისწინებთ ვ. ჯაოშვილის სიტყვებს: ქართველები სარწმუნოებას იმ პრივილეგიების გამო თმობდნენ, რომლითაც სომეხი ვაჭარ-ხელოსნები სარგებლობდნენო **(ჯაოშვილი, 1996: 311).** უფრო დასაშვებად უნდა მივიჩნიოთ ქართველთა გადასვლა გრიგორიანულ სარწმუნოებაზე, ვიდრე პირიქით - სომხების მიერ სარწმუნოების მასიურად შეცვლა. ასე, რომ ახალგორელები სომხებისათვის დაწესებული პრივილეგიების გამო ფორმალურად იცვლიდნენ ეროვნებასაც და სარწმუნოებასაც, ისინი კვლავ ქართველ მართლმადიდებლებად რჩებოდნენ თავიანთი ენით, მრწამსითა და ადათ-წესებით...

1989 წლის მოსახლეობის აღწერით ახალგორსა და ახალგორის სოფლებში ცხოვრობდა 12 080 ადამიანი, 2002 წლის მონაცემებით - 7 650 ადამიანი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იყო 1 დაბა, 7 სოფლის საკრებულო და 83 სოფელი. მოსახლეობის 85,1% ქართველი გახლდათ, 14,3% - ოსი, 0,2% - რუსი, 0,2% - სომეხი, 0,1% - აფხაზი. ქართველი ეროვნება ჭარბობდა 54 სოფელში, ოსი - 10 სოფელში **(საქართველოს მოსახლეობის... 2003: 117).** მისასალმებელია ის ფაქტი, რომ აღდგა სამართლიანობა და ახალგორში მცხოვრებმა ქართველებმა, რომელთა წინაპრებიც ბედის უკუღმართობის გამო სომხებად იყვნენ მიჩნეულნი, დაიბრუნეს ისტორიული გვარები.

1989 წელს ახალგორს ეროვნული მოძრაობის ლიდერები ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა ესტუმრნენ. მათ ურჩევიათ მოსახლეობისათვის, არქივში მოეძიათ

ცნობები წინაპართა ეროვნებისა და სარწმუნოების შესახებ, რამაც დიდ წილად განაპირობა ისტორიული სამართლიანობის აღდგენა **(ცაგურიშვილი, 2007).**

2008 წლის აგვისტოს ომამდე ახალგორში ცხოვრობდნენ: ამირანაშვილები, მერაბიშვილები, მეარაყიშვილები, გათენაშვილები, დურგლიშვილები, მუხაშვილები, სირაშვილები, ობოლაძეები, მღებრიშვილები, ოვაშვილები, ტატიშვილები, კაკილაშვილები, კაკაბაძეები, ოსეფაიშვილები, დემურიშვილები, ბურდიაშვილები, მზარეულიშვილები, თორელაშვილები, ტიგიევები, ჩარაევები, ვალიევები, ჩერტკოევები, ბაშარულები, ჩიტიშვილები, ჩიტაშვილები, პავლიაშვილები, ოღაძეები, ოდიშვილები, ბერიძეები, გოლოევები, კიბილოვები, მელაძეები, მილაძეები, დოლიშვილები, მწითურები, ყველაშვილები, მელთაურები, ბიტაროვები, ბედოევები, ხუბაევები, ჩიგოევები, მორბედაძეები, ტატუნაშვილები, გელაშვილები, ბერიანიძეები, ბაქაქურები, ბასილიძეები, ელკანოვები, ქისიევები, ქასოევები, ყურაულები, მიდელაშვილები, მარგიევები, დუდაევები, ბურდულები, ელოშვილები, ილურიძეები, იათაშვილები, როინიშვილები, ოქრუაშვილები, ხუციშვილები, ხოცუაშვილები, ბალხამიშვილები, საბიაშვილები, თინიკაშვილები, ბალაშვილები, გიგაურები, ჟივიძეები, ქურთაულები, ხაჩიროვები, ხერკელაძეები, ხინჩაგოვები, ჯარმელიშვილები, ჯაბანაშვილები, ჯიოევები, რაზმაძეები, კეტიშვილები, მაჭარაშვილები, ხაჩიძეები, ხახუტაშვილები, კაიშაურები, ბაკლანოვები, ბასილაშვილები, ბასიკაშვილები, შერმადინები, ბულბუთაშვილები, მახარაშვილები, ტიტველაშვილები, ჩოჩელები, ჩოხელები, ჩაბოშვილები, ფსუტურები, საბანაძეები, შიუკაშვილები, როსტევანიშვილები, ქენქაძეები, მაწიაშვილები, ახლოურები და სხვები...

სამწუხარო რეალობაა, რომ აგვისტოს ომის შემდეგ ახალგორში დემოგრაფიული ვითარება მკვეთრად შეიცვალა: „ახალგორში ეხლა სულ სხვა ხალხია, ოსებია, რუსებია, რა ვიცი რა ეროვნების ხალხია, ლეკები... რო შევდივარ ახლა ახალგორში, ჩემი ბიძაშვილი (ვლადიკავკაზში ცხოვრობდა და ეხლა ჩამოვიდა) მუშაობს ემვედეში, სადაც ვიზებს აგრძელებენ და ისიც კი ამბობს, სუ შემოსული ხალხიაო. მე რომ ახალგორში ჩავდივარ, ასე მგონია, სადღაც ვარ-თქო. სოფლებშიც სულ იმათ დაიკავეს ყველაფერი!" **(ჯალაბაძე, 2015: 101).** ფრეზეთში მცხოვრები დევნილის ეს მონათხრობი ძალაუნებურად გვახსენებს XIX საუკუნეში რუსებისაგან დასჯილ აფხაზეთის მიმართ ნათქვამ ცნობილი ეთნოგრაფის თედო სახოკიას სიტყვებს: „აჭრელდნენ მცხოვრებნი, აჭრელდა ეთნიკური შემადგენლობა. გესმით რუსული, ქართული, ბერძნული, სომხური, მეგრული ყაბალახი, ოსმალური ფესი, რუსული კარტუზი - ერთმანეთშია არეული. აქაურობას ყურს რომ უგდებთ, თქვენ თავს ეკითხებით, ეს მკვიდრი ამა ქვეყნისა რაღა იქნა? როგორ მოხდა, რომ მის სუფრას სხვები მოსხდომიანო" **(ახლოური, 2011: 47).**

დღეს ახალგორის მოსახლეობის დიდი ნაწილი წეროვნის დევნილთა დასახლებაში ცხოვრობს, ნაწილი - საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აგრძელებს მოღვაწეობას...

დასკვნები:

არქეოლოგიური მასალის ანალიზი ცხადყოფს, რომ ახალგორში მოსახლეობა ნეოლითის ხანიდან ცხოვრობდა.

ახალგორში არსებული დემოგრაფიული მონაცემების შესახებ პირველი ვრცელი ცნობები თბილისის ვილაიეთის 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში

ვხვდებით. ასევე მნიშვნელოვანია ქართლ-კახეთის მოსახლეობის 1770 წლის, ქსნის საერისთავოს სტატისტიკური, იოანე ბატონიშვილის საუფლისწულო, XIX საუკუნის კამერალური და XX საუკუნის საკავშირო აღწერები.

XIX საუკუნის 70-იანი წლების ახალგორის შესახებ საყურადღებო ცნობებს შეიცავს 1873 წლის რუსული კამერალური აღწერა, სადაც ვხვდებით ვრცელ და უნიკალურ მასალას ქსნის საერისთავოს პოლიტიკური და ადმინისტრაციული ცენტრის სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ საკითხებზე.

ახალგორში მცხოვრები 126 კომლიდან სახელმწიფო მიწაზე ცხოვრობდნენ სახელმწიფო გლეხები: 25 კომლი, საბატონო მიწაზე სახელმწიფო გლეხები - 1 კომლი; დროებით ვალდებული გლეხები - 100 კომლი.

ახალგორში მცხოვრები კომლებიდან სომხებად მითითებულია 117 კომლი, ქართველებად - 9 კომლი, მათ შორის ეთნიკურად ქართველი წიპტაურები ქართველებადაც არიან აღწერილნი და სომხებადაც, ეთნიკურად ოსი ხუბაშვილები - ქართველებად, ხუბულურები - სომხებად.

ვაჭრობასთან ერთად, ახალგორის მცხოვრებთა უმთავრეს საქმიანობას ხელოსნობა წარმოადგენდა. ამ დროისთვის მოთხოვნადი პროფესიები იყო: ოქრომჭედლობა, დურგლობა, ნალბანდობა, ჭონობა, მექვაბეობა, დალაქობა, კალატოზობა, მიკიტნობა, მეყაიშეობა.

ქართველების გასომხებას რამდენიმე ფაქტორი უწყობდა ხელს, უმთავრესი საფუძველი ის პრივილეგირებული მდგომარეობა, იყო, რომლითაც სომხები სარგებლობდნენ. ამასთან, ახალგორში მცხოვრები ქართველებიც და სომხებიც, ძირითადად, ვაჭრობას ან ხელოსნობას მისდევდნენ, საქართველოში „ვაჭრის" და „სომეხის" მცნებები კი თითქმის სინონიმური იყო, სავაჭრო ურთიერთობაში ჩართულ ქართველს გასომხებულს უწოდებდნენ. ქართველთა სომხური ეთნოსისადმი მიკუთვნების ხელშემწყობი ფაქტორი იყო სარწმუნოებისა და ეროვნების ერთმანეთთან გაიგივება და სხვა...

ახალგორში სომხური ეთნოსის დომინაციას ტოპონიმებზე დაკვირვებაც გამორიცხავს, მათი უმრავლესობა ქართულია: ახალშენი, ბაზრის მინდორი, ბარდანაული, დიდველი, გიგნიაანთ წყარო, გურგვეთელების ღელე, დარეხვილები, ზენუბნები, თავისუფლების მოედანი, იოსებას ახო, მზვარე, ტახტაბანი, საკირეები, ფირუზაანთ ხევი, ფიჭვნარი, ციხის წისქვილი, ჩირდილის ტყე, ჭალები, ჭაობისუბანი, ჯალაბაანთ წყარო და ა.შ.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

ახლოური, დ. (2006). *რუსეთის კოლონიური პოლიტიკა აფხაზეთში,* „ჩვენი უნივერსიტეტი“, №8, დეკემბერი.

ახლოური, დ. (2021). *ქსნის ხეობის ისტორია,* ტ., II, თბილისი, გამომცემლობა „საარი".

ახლოური, დ. (2025 ა). *ქსნის, ლეხურისა და მეჯუდის ხეობების მოსახლეობა XIX საუკუნის 60-იან წლებში,* თბილისი, გამომცემლობა „საარი".

ახლოური, დ. (2025 ბ). *ცხავატის ხეობის მოსახლეობა XIX საუკუნის 70-იან წლებში,* ჟურნალი „ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია”, № XIV, 25 დეკემბერი.

ახლოური, დ. (2026). *ახალგორის მოსახლეობა XIX საუკუნის 60-იან წლებში,* ჟურნალი „ანალები“, № 21.

გამრეკელი, ვ. ცქიტიშვილი, ზ. (1973). *1870 წლის 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხა,* საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №1.

გორის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი (გსიემ). (1956). *ყოფილი ქსნის საერისთავოს მოსახლეობის აღწერა 1804 წ.,* №7486.

თაყაიშვილი, ე. (2022). *თხზულებანი, ტ. 12.* თბილისი, გამომცემლობა არტანუჯი.

თოფჩიშვილი, რ. (1987). XIX საუკუნის მოსახლეობის აღწერის მასალები საქართველოს ეთნოისტორიისა და სოციალური ყოფის შესახებ, „მნათობი", №12.

თოფჩიშვილი, რ. (2002). *საქართველოს ისტორიული დემოგრაფიისათვის (შიდა ქართლის მთის მოსახლეობის მიგრაციის ეთნოისტორიული საკითხები),* თბილისი.

კლიმიაშვილი, აკ. (2022). *მორიგე ლაშქარი, მასალები XVIII საუკუნის საქართველოს სამხედრო ისტორიისთვის,* თბილისი, გამომცემლობა „არტანუჯი".

მაისურაძე, გ. (1999). *საქართველოს სომხური მოსახლეობის ისტორიის საკითხები (IV-XVIII სს.),* თბილისი.

მაკალათია, ს (1954). *ლეხურის ხეობა,* თბილისი.

მაკალათია, ს. (1968). *ქსნის ხეობა, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი.* თბილისი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო".

მელიქიშვილი, გ. თოდრია, თ. თოფჩიშვილი, რ. (1989). *„ხოცუაშვილები, სირუნოვები",* „ლენინელი", 9 ნოემბერი.

ოვაშელი, რ. (1983). *„ვითარცა ზღუდე დაუცემელი", ისტორიული ამბავი,* „ლენინელი", 7 ივნისი.

ოვაშვილი, რ. (1984). *როგორ გაჩნდა მეარაგოვების გვარი?* „ლენინელი", 3 მაისი.

პავლიაშვილი, ალ. (1987). *ილია ახალგორში,* „ლენინელი", 9 ივნისი.

საქართველოს მოსახლეობის... (2003). *2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები (საქართველოს სოფლების მოსახლეობა),* ტ. II, თბილისი.

სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 226, *საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 2, საქმე 226.*

სულხან-საბა ორბელიანი. (1993). *ლექსიკონი ქართული, II.* თბილისი. გამომცემლობა „მერანი".

ქრონიკები და *სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა.* (1897). შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, წიგნი III, ტფილისი.

ღუნაშვილი, ვ. (1985). *ვისი გორისა ხარ?* „ლენინელი", 28 თებერვალი.

ცაგურიშვილი, თ. (2007). *ქსნის ხეობა, იკოთი,* ჟურნალი „კარიბჭე", 01.06.2007.

ხარაძე, კ. (1996). *შიდა ქართლში ტოპონიმთა გაყალბების წინააღმდეგ,* წიგნში: „ოსთა საკითხი", გორი-თბილისი.

ჯავახიშვილი, ივ. (1967). *საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წიგნი 1, დემოგრაფიული ძეგლები, აღმოსავლეთ საქართველოს XVIII საუკუნის ხალხის აღწერის დავთრები,* თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება".

ჯალაბაძე, ნ. (2015). *ქართულ-ოსური ურთიერთობის თავისებურებანი ახალგორის რაიონში,* კრებულში: „ოკუპირებული ახალგორის რაიონი და ქართულ-ოსური ურთიერთობის დინამიკა“, თბილისი.

ჯაოშვილი ვ. (1996). *საქართველოს მოსახლეობა, ისტორიულ-დემოგრაფიული და ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა,* თბილისი.

ჯიქია, ს. შენგელია, ნ. (2009). *1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი,* ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჯიქიამ და პროფ. ნოდარ შენგელიამ, თბილისი.

REFERENCES

akhlouri, d. (2006). *akhalgoris istoria [history of akhalgori],* tbilisi: "universal".

akhlouri, d. (2011). *rusetis koloniuri politika abkhazetshi [russia's colonial policy in abkhazia]* „chveni universiteti“ [„our univesity“], №8, [december].

akhlouri, d. (2021). *ksnis kheobis istoria [History of the Ksani Valley].* II, tbilisi: ,,Saari".

akhlouri, d. (2025 a). *Ksnis, lekhurisa da mejudis kheobebis mosakhleoba XIX saukunis 60-ian tslebshi [the population oh the ksani, lekhuri and mejudiin the middle oh XIX the century in the 60 s]* tbilisi: ,,saari".

akhlouri, d. (2025 b). *tskhavatis kheobis mosakhleoba XIX saukunis 70-ian tslebshi [absthe population of tskhavati valley in the 70s of the 19th century]* zhurnali „istoria, arkeologia, etnologia“ [the journal "history, archaeology, ethnology"], № XIV, 25 dekemberi [december].

akhlouri, d. (2026). *akhalgoris mosakhleoba XIX saukunis 70-ian tslebshi [the population of akhalgori in the 60th of XlX],* zhurnali „analebi“ [the journal "analebi"], №21.

gamrekeli, v. tskitishvili, z. (1973). *1870 ts'lis demograpiuli nuskha [1870 demographis census],* sakartvelos ssr metsnierebata ak'ademiis zhurnali matsne, ist'oriis, arkeologiis, etnograpiisa da khelovnebis ist'oriis seria [journal of the academy of sciences of the georgian ssr matsne, history, archaeology, ethnography and art history series], №1.

goris istoriul-etnograpiuli muzeumi (gsiem) [gori historical-ethnographical museum]. (1956). *kofili ksnis saeristavos mosakhleobis agwera 1804 w. [population census of former ksani saeristavo in 1804]. №7486.*

takaishvili, e. (2022). tkhzulebani [works], t. 12. tbilisi: publishing house, „artanuji“.

topchishvili, r. (1987). *XIX sauk'unis mosakhleobis aghts'eris masalebi sakartvelos etnoist'oriisa da sotsialuri q'opis shesakheb [19th century census materials on the etnohistory and social life of the region],* „mnatobi“, №12.

topchishvili, r. (2002). *sakartvelos ist'oriuli demograpiisatvis (shida kartlis mtis mosakhleobis migratsiis etnoist'oriuli sak'itkhebi) [for the historical demography of georgia (ethnohistorical issues of migration of the mountain population of inner kartli)],* tbilisi.

klimiashvili ak. (2022). *morige lashkari, masalebi XVIII saukunis sakartvelos samkhedro istoriistviis [materials for the militaru history of eastern georgia I the second partoh the 18 th century „morige lashkari (the on-dity army], tbilisi:* publishing house, „artanuji“.

maisuradze, g. (1999). sakartvelos somkhuri mosakhleobis ist'oriis sak'itkhebi (IV-XVIII sauk'uneebshi) [issues of the history of the armenian population of georgia an the 4th-18th centuries], tbilisi.

makalatia, s. (1954). *lekhuris kheoba [lekhuri gorge],* tbilisi.

makalatia, s. (1968). *ksnis kheoba, istoriul-etnografiuli narkvevi [ksani valley, historical-ethnographic essay].* tbilisi.

melikishvili, g. todria, t. topchishvili, r. (1989). *„khotsuashvilebi, sirunovebi" [„khotsuashvili, sirunov"],* „lenineli", 9 noemberi [november 9].

ovasheli, r. (1983). *„vitartsa zghude dautsemeli", ist'oriuli ambavi [„like an unbreakable fortress", a historical story],* „lenineli", 7 ivnisi [iune 7].

ovashvili, r. (1984). *rogor gachnda mearagovebis gvari [how the mearagov surname originated],* „lenineli", 3 maisi [may 3].

pavliashvili, al. (1987). *ilia akhalgorshi [ilia in akhalgori],* „lenineli", 9 ivnisi [iune 9].

sakartvelos mosakhleobis... [the population of georgia...] (2003). *2002 wlis pirveli erovnuli sakoveltao agweris dziritadi shedegebi (sakartvelos soflebis mosakhleoba) [the main results of the first national general census of 2002 (Population of the villages of georgia)], II,* tbilisi.

seasca, f. 254, ins. 2, case 226. *sakartvelos erovnuli arqivi, centraluri saistorio arqivi, fondi 254, anatseri 2, saqme 226 [national archives of georgia, historikal central archive, fund 254, ins. 2, case 226].*

sulkhan-saba orbeliani. (1993). *leksikoni kartuli, II. [georgian dictionary, II].* tbilisi: "meran" publishing house.

kronik'ebi da skhva masala sakartvelos ist'oriisa da mts'erlobisa [chronicles and other materials on georgian history and writing]. (1897). shek'rebili, kronologiurad tats'q'obili da akhsnili t. jhordanias mier [collected, chronologically arranged and explained by t. jordania], tts'igni III [book III], tblilisi.

ghunashvili, v. (1985). visi goris khar [whose gori are you from], „lenineli", 28 tebervali [february 28].

tsagurishvili, t. (2007). *ksnis kheoba, ik'oti [ksani gorge, ikoti],* zhurnali „k'aribch'e" [karibche magazine], 01.06.2007.

kharadze, k. (1996). *shida kartlshi t'op'onimta gaq'albebis ts'inaaghmdeg [against the falsification of toponyms in shida kartli],* ts'ignshi: „osta sak'itkhi" [the ossetian issue in the book], gori-tbilisi.

javakhishvili, Iv. (1967). *sakartvelos ekonomiuri istoriis dzeglebi [monuments of economic history of georgia], 1, demograpiuli dzeglebi [demographic monuments] XVIII.* tbilisi: metsniereba

jalabadze, n. (2015). *kartul-osuri urtiertobis taviseburebani akhalgoris raionshi [peculiarities of georgian-ossetian relations],* k'rebulshi ok'up'irebuli akhalgoris raioni da kartul-osuri urtiertobis dinamik'a [in the collection the occupied akhalgori region and the dynamics of Georgian-ossetian relations].

jaoshvili v. (1996). *sakartvelos mosakhleoba, ist'oriul-demograpiuli da ek'onomik'ur-geograpiuli gamok'vleva [population of georgia, historical-demographic and economic-geographical research],* tbilisi.

jikia, s, shengelia, n. (2009). *1728 clis tbilisis vilaietis didi davtari [the great register of the vilayet of tbilisi of 1728],* osmaluri t'eqst'i kartuli targmanit, shesavlit, gamoik'vlevita da paksimileebit gamosatsemad moamzades ak'ad. sergi jikiam da p'rop. nodar shengeliam [ottoman text with georgian translation, introduction, research and facsimiles prepared for publication by acad. sergi jikia and prof. nodar shengelia], tbilisi.